რა ნაკლი აქვს მთავრობის საამაყო ბიუჯეტს?

პაპავა: „ეს ბიუჯეტი არის არა უბრალოდ დეფიციტური, არამედ კატასტროფულად დეფიციტური“

გაზეთი “მთელი კვირა” – 7 აპრილი, № 093, 2008
დანართი “ჩვენი ბიუჯეტი” – 7 აპრილი, № 1, 2008

საქართველოს ხელისუფლება ამაყობს, რომ ქვეყნის ისტორიაში პირველად დამტკიცდა პროფიციტული ბიუჯეტი. ამასთან, წლევანდელი ბიუჯეტი შარშანდელთან შედარებით გაზრდილია და საერთო ჯამში შეადგენს 5 მილიარდ 300 მილიონზე მეტს, საიდანაც ხარჯები არის 4 მილიარდ 800 მილიონამდე. ამასთან, წელს ბიუჯეტის მესამედზე მეტი სოციალური სფეროებისთვის არის განკუთვნილი. თუმცა, ექსპერტები თვლიან, რომ ეს ბუიჯეტი კრიტიკას ვერ უძლებს. რა მთავარი უარყოფითი და დადებითი საკითხები არსებობს ბიუჯეტთან დაკავშირებით და რა გავლენა შეიძლება მოახდინოს ქვეყნის ეკონომიკაზე, ამ საკითხებთან დაკავშირებით „რეზონანსი“ პარლამენტარ ლადო პაპავას ესაუბრა.

ლადო პაპავა: ბიუჯეტთან დაკავშირებით რაც შეიძლება ზოგადად ითქვას. ის არის, რომ ბიუჯეტი ფორმალურად პროფიციტულია. ამას მთავრობა ფისკალურ პროფიციტს ეძახის. რეალურად კი დეფიციტურია, რომელსაც მონეტარულ

დეფიციტს ეძახიან. დეფიციტი კი 1 მილიარდ 209 მილიონზე მეტია. ეს მაშინ, როდესაც მთლიანად ბიუჯეტის შემოსავლები არის 5 მილიარდ 313 მილიონი, აქედან 1 მილიარდ 209 მილიონი დეფიციტი კატასტროფაა.

„რ“: მთავრობა საკმაოდ წარმატებულად მიიჩნევს ამ ბიუჯეტს. თქვენ მთვარ პრობლემად რას თვლით?

ლ.პ: დავიწყოთ იმით, რომ ბიუჯეტი წინა წლის ბიუჯეტთან შედარებით მნიშვნელოვნად გაზრდილია. უკვე ცვლილება შეტანილი ბიუჯეტით შემოსავლები 5 მილიარდ 300 მილიონზე მეტია. ბიუჯეტი ამ თვალსაზრისით მართლაც შთამბეჭდავია, მაგრამ მთავარი არის ის, რომ 2008 წლის ბიუჯეტში ბიუჯეტის დაგეგმვის მეთოდოლოგია შეიცვალა. თუ კლასიკური მეთოდოლოგიით ერთ მხარეს იყო გადასახდელები და მეორე მხარეს - კი შემოსავლები, საგადასახადო და არასაგადასახადო და მათი ბალანსით დაიანგარიშებოდა დეფიციტი, ახლა ეს მეთოდოლოგია არის უარყოფილი და იმ მეთოდოლოგიით არის აგებული, რომ ერთად არის გათვალისწინებული ფინანსური აქტივების ცვლილება. ეს იმას ნიშნავს, რომ ზრდაში შედის აქტივების შექმნა, მშენებლობა, ინვენტარ–მოწყობილობების შეძენა და ა.შ. კლებაში შედის გაყიდვები, პრივატიზაცია. ამ ცვლილებამ გამოიწვია ის, რომ 2008 წლის ბიუჯეტი აღმოჩნდა ახალი მეთოდოლოგიით პროფიციტული. ამ ახალი მეთოდოლოგიის პროფიციტულ ბიუჯეტს ეძახიან ფისკალურად პროფიციტულს. ფისკალური პროფიციტი კი არის 2008 წლის ბიუჯეტში შეტანილი ცვლილების შემდეგ 1 მილიონ 275 ათასი ლარი. ეს თანხა არის მცირე, მაგრამ ეს არის ვირტუალური პროფიციტი. რეალურად ბიუჯეტის არსიდან გამომდინარე, მეთოდოლოგიის შეცვლით შელამაზდა ბიუჯეტი.

2008 წლის ბიუჯეტი თავიდან როდესაც იქნა მიღებული, ანუ 2007 წლის დეკემბრის ბოლოს, რეალური დეფიციტი იყო 355 მილიონი. ეს დეფიციტი მთავრობის მიერ დათვლილ მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში იყო 1,8%.

შემდეგ უკვე მოგვიანებით, მარტში ბიუჯეტში შევიდა ცვლილება და ამ ცვლილებით მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ წელს გამოუშვას ევროობლიგაციები 500 მილიონ დოლარზე. ეს იმას ნიშნავს, რომ მთავრობა იღებს ევროპის ბაზრიდან სესხს და ამის გათვალისწინება დასჭირდება ბიუჯეტში. ამიტომ, თუ ამ პარამეტრს გავითვალისწინებთ, ბიუჯეტი დეფიციტურია. თუ ამ ცვლილების გათვალისწინებამდე დეფიციტი 355 მილიონზე მეტი იყო, ახლა ბიუჯეტის დეფიციტი 1 მილიარდ 209 მილიონზე მეტია.

ამასთან, თუკი მანამდე ბიუჯეტის დამტკიცებული დეფიციტი მთლიანი შიდა პროდუქტის 1,8% იყო, ახალი ცვლილებით დეფიციტი არის მთლიანი შიდა პროდუქტის 6,1%, ანუ, დეფიციტი სამჯერ და მეტად გაიზარდა. ამ ყველაფრის გათვალისწინებით რა შეიძლება ითქვას? თვალის ახვესის თვალსაზრისით ჩვენი ბიუჯეტი დღეს ძალიან მომხიბვლელია. მაგრამ მონეტარული თვალსაზრისით, ანუ რა ფული შემოდის და რა ფული იხარჯება, ეს არის არა უბრალოდ დეფიციტური, არამედ კატასტროფულად დეფიციტიური.

თუკი იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მთლიანი შიდა პროდუქტი არის ხელოვნურად გაბერილი, იმიტომ, რომ მთავრობა სტატისტიკის დეპარტამენტს ხელოვნურად აზრდევინეებს ზრდის ტემპებს, ფაქტობრივად მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა ნაკლები არის და მე მჯერა, რომ დადგება საქართველოში ის დრო, როდესაც ამ პერიოდის სტატისტიკა თავიდან იქნება გადათვლილი. მაშინ აღმოჩნდება, რომ რეალურად დეფიციტი 6% კი არა, იქნებ 10%–საც კი აღწევდეს.

„რ“: როდესაც ფიქსირდება, რომ ბიუჯეტი არის პროფიციტული და რეალურად არის დეფიციტური, ეს ქვეყნის ეკონომიკაზე როგორ აისახება?

ლ.ჰ: ამაზე ერთი ცნობილი ანეგდოტი მახსენდება. ეს დაახლოებით იმას ჰგავს, ბრმას რომ ცოლი მოუკვდება და ცდილობენ, დაუმალონ. მერე ერთი იკითხავს, რამდენიმე ღამის შემდეგ მაინც არ იკითხავს, გვერდით რატომ არ მიწვებაო? ანუ, რამდენიც არ უნდა მოვატყუოთ ჩვენი საზოგადოება, რომ ბიუჯეტი

პროფიციტულია, ყველა ის უარყოფითი ეფექტი, რაც აქვს დეფიციტურ ბიუჯეტს, ეს ეფექტები იარსებებს. ანუ, საქმე ის კი არ არის, სტატისტიკურად ციფრებს როგორ გაალამაზებ და ამას როგორ წარმოაჩენ, არამედ რეალურად რა არის. შენ როგორც არ უნდა გაალამაზო, ის პროცესები, რაც დაკავშირებულია ბიუჯეტის დეფიციტურობასთან, ამას მაინც ვერ აიცილებ. ხოლო ბიუჯეტის დეფიციტურობასთან არის დაკავშირებული ის პროცესები, რომელსაც სხვა ენაზე ჰქვია ინფლაცია. თუმცა, აქაც შეიძლება სიტუაციის შელამაზება და მე შელამაზების ერთ მაგალითს მოვიტან.

როდესაც პარლამენტში შემოვიდა ბიუჯეტის ცვლილება, ამ ცვლილების განმარატებით ბარათში არის მოცემული ქვეყანაში არსებული ვითარების ეკონომიკური დახასიათება, ანუ 2007 წელს რამ გამოიწვია მაღალი ფასებიო და აქ არის კურიოზული რამ ნათქვამი. დოკუმენტში სწერია, რომ, თურმე, ოთხმა პროდუქტმა ფასების ზრდას შეუწყო ხელი, ამ ოთხ პროდუქტში დასახელებული არის ატამი და ატმის ზეგავლენა ინფლაციაზე ქვეყნის მასშტაბით ისეთივე ყოფილა, როგორც ბუნებრივი გაზის, ხოლო რამაც შეაჩერა ინფლაცია , თორემ უფრო მაღალი იქნებოდაო, ეს გაუკეთებია პომიდორს. ანუ, გამოდის, რომ ქვეყნის დამაქცევარი არის ატამი და პომიდორი ჩვენი გადამრჩენელი. ეს კურიოზია, აბა სხვა რა არის? ეს ეწერა მთავრობის დოკუმენტში და, როდესც კითხვით მივმართე ფინანსთა მინისტრ ნიკა გილაურს , მან გაიკვირვა, სად ამოიკითხეთო. როდესაც ვუთხარი, რომ მათ ტექსტიში ეწერა, თქვა, რომ სტატისტიკის დეპარტამენტმა რა ჩადო, არ ვიციო. ეს იმას ნიშნავს, რომ მთავრობა ამ დოკუმენტს არც კი კითხულობს და მეორეს მხრივ, სტატისტიკის დეპარტამენტი ისე ჰყავთ დაიღლიავებული, რომ რასაც უნდათ, იმას აკეთებენიბენ და იმას აბრალებენ. ახლაც თქვეს, ეს სისულელე სტატისტიკამ დაწერაო. იცით, სტატისტიკის დეპარტამენტიდან ხშირად თანამშრომლები მიკავშირდებიან, მაგრამ ცდილობენ, რომ თავისი სახელი და გვარი არ გაამჟღავნონ. ამ თემასთან დაკავშირებითაც მითხრეს, რომ ჩვენ არც ისეთი სულელები ვართ, ეს ჩაგვეწერაო და არ ვიცით, საიდან გაჩნდაო. ანუ, თუ

სტატისტიკას ეს არ ჩაუწერია, ის ფინანსთა სამინისტროში გაჩნდა. მაგრამ, რა მნიშვნელობა აქვს, სტატისტიკამ ჩაწერა თუ ფინანსთა სამინისტრომ, ეს ხომ მთავრობის დოკუმენტია და მთავრობა ხომ ერთიანი გუნდია? ეს ყველაფერი კი იმას ნიშნავს, რომ როდესაც ჩვენი გვაქვს დეფიციტური ბიუჯეტი, ინფლაცია იქნება მაღალი. სტატისტიკას ამას შეალამაზებინებენ და მერე შეიძლება ასეთი ზღაპრული რაღაცეები აღმოჩნდეს, რომ, თურმე, ატამმა დაგვღუპა და პომიდორმა გადაგვარჩინა. თუმცა, ისიც გასარკვევია, რომელმა ატამმა დაგვღუპა, სახლეჩმა თუ სახრავმა და რომელმა პომიდორმა გადაგვარჩინა, თურქულმა თუ ჭოპორტულმა. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ ასეთი კურიოზული ვითარება გვაქვს.

„რ“: ინფლაცია როგორი იქნება?

ლ.პ: კარგი შეკითხვაა, მაგრამ ამ კითხვაზე პასუხი მე ნამდვილად არ მაქვს. მთავრობას თუ დავუჯერებთ, წლიური ინფლაცია უნდა იყოს არა უმეტეს 8%-სა. მთავრობას შეუძლია, წლის ბოლოს მართლაც ასეთი ინფლაცია აჩვენოს, რადგან, როგორც გითხარით, მთავრობას სტატისტიკის დეპარტამენტი დაიღლიავებუდი ჰყავს და რასაც ეტყვიან, იმას გამოაქვეყნებს. მაგრამ რეალურად რომ 8% არ იქნება და მეტი იქნება, ფაქტია. მე ერთხელ უკვე გითხარით, რომ თუ 30–40%–ზე მაღალი ინფლაცია არ იქნება, ჩავთვალოთ, რომ ქვეყანა გადარჩა მეთქი. ეს არათუ ძალაშია, გამყარდა კიდეც. იცით, იანვარში ინფლაცია რამდენი იყო? მთავრობამ გამოაქვეყნა 2,5% . თუმცა, ასევე არაფორმალური წყაროებით სტატისტიკის დეპარტამენტიდან მაცნობეს, რომ რეალურად 3,2% იყო. თუნდაც 2,5–ის დონეზე, ეს რომ საშუალოდ ჩავთვალოთ, თუ ასეთიტემპი იქნა შენარჩუნებული, უხეშად გადაამრავლეთ 12–ზე და ნახავთ, რამდენს მივიღებთ. სამწუხაროდ, ჩემი პროგნოზი შეიძლება გამართლდეს.

ახლა სხვა რამეს შევხედოთ, არამარტო ბიუჯეტია დეფიციტური, ვნახოთ, როგორია ხარჯების სტრუქტურა. ბიუჯეტის დეფიციტი ხელს უწყობს ინფლაციას. მაგრამ ხარჯების სტრუქტურა კიდევ უფრო მწვავეა, რადგან ინფლაცია იანგარიშება

არა ზოგადად ფასების ზრდისა თუ კლების მიხედვით, არამედ სამომხმარებლო პროდუქციის ფასების ზრდისა თუ კლების მიხედვით. მთავრობას აქვს ძალიან პოპულისტური პროგრამები, რომელიც უშუალოდ სამომხმარებლო ბაზარს არტყამს, რადგანაც სამომხმარებლო ბაზარზე ხდება დამატებითი ფულის მიწოდება. გავიხსენოთ თუნდაც იგივე ყბადაღებული დასაქმების პროგრამა, რომლითაც ვიცით, რომ არავინ არ საქმედება. როგორც პრემიერ–მინისტრმა განაცხადა, თურმე ეს პროგრამა ახლა უკვე 6 თვიანი გაუხდიათ და თვეგამოშვებით იქნება. რაც თავის მხრივ კურიოზია და საქართველოში რომ არ ხდებოდეს, ვიცინებდით. ფაქტია, რომ ამ პროგრამით არავინ არ საქმდება და ეს არის უმუშევრებისთვის ფულის მიცემა. უმუშევარს რომ ფულს მისცემ, მუთაქაში შეინახავს თუ ბანკში შეიტანს? რა თქმა უნდა, შეიძენს პირველადი მოხმარების პროდუქციას, რომელიც მას სჭირდება. ეს კი ფასების ზრდას უწყობს ხელს. ახლა რომ ვაუჩერებს არიგებენ დიზელის საწვავზე, მართალია, ამით მთელ მინდვრებს ვერ გადავხნავთ, მაგრამ ეს ვაუჩერი რომ არ დარიგებულიყო, ეს საქონელი ხომ თავისი ფულით უნდა ეყიდათ? ანუ, სასაქონლო ბაზრიდან ამოვიღეთ ეს დიზელის საწვავი და მივეცით გლეხს. ის ფულის მასა კი, რაც დარჩა, ხომ ნაკლებ საქონელს შეხვდება? ეს კი ისევ ინფლაციას უწყობს ხელს. აღარაფერს ვამბობ იმაზე, ასეთი პროცესებით დიზელის საწვავის ბაზარსაც რომ ვამახინჯებთ. სხვა ვაუჩერები? ესენი ყველაფერი პირველადი მოხმარების საგნებზეა და იგივე პროცესებს გამოიწვევს. ახლა ვიცით, რომ აპრილიდან გაიზრდება პენსიები. მე ენა არ მომიტრიალდება, რომ ვთქვა, პენსია არ უნდა გაიზარდოს მეთქი იმიტომ, რომ პენსია დღეს ჩვენთან აბსოლუტური სიღარიბის დონეზეც არ არის. ახლა ისეთ თემას შევეხე, რაზეც ჩვენი მთავრობა აზრზეც კი არ არის. გაეროს კლასიფიკაციით აბსოლუტურ ღარიბად ითვლება ადამიანი, რომელიც დღეში 2 დოლარზე ნაკლებს მოიხმარს. ანუ თვეში 60 დოლარზეა ლაპარაკი. ეს კი სადღაც 90 ლარია. 70 ლარი კი სჯობს 48 ლარს, მაგრამ 90–ზე ნაკლებია, თანაც საკმაოდ ნაკლები. ანუ, ეს გაზრდილი პენსია აბსულუტური სიღარაბის ზღვარს დაბლა მყოფთათვის

გათვალისწინებული თანხის 63% . მე პენსიის ზრდის წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ თუ ამ კონტექსტში განვიხილავთ, საერთო ჯამში ეს ყველაფერი ხელს უწყობს ინფლაციის ზრდას. ანუ, მთავრობას ხარჯების შიდა სტრუქტურა აქვს ისეთი, რომელიც ინფლაციურია. გარდა იმისა, რომ ბიუჯეტი რეალურად ინფლაციურია. საარჩევნოდ ასევე იქნება დახარჯული თანხები, რომელიც ასევე გავა სამომხმარებლო ბაზარზე და პრაქტიკულად ინფლაციას შეუწყობს ხელს.

„რ“: ლარის გაცვლითი კურსი როგორია და რა გავლენას მოახდენს ეკონომიკაზე?

ლ.ჰ: როდესაც მთავრობამ დეკემბერში შემოიტანა ბიუჯეტის პროექტი, აქ იყო გაცვლითი კურსი ძალიან უცნაურად დაფიქსირებული. ექსპორტის გაცვლითი კურსი გათვლილი იყო 1,43–ზე და იმპორტის გაცვლითი კურსი იყო 1,47–ზე, თითქოს ექსპორტსა და იმოპორტზე სხვადასხვა გაცვლითი კურსი იყოს. თავისთავად ეს უცოდინარობის მწვერვალია. ამას ეკონომისტობა არ სჭირდება. გაცვლითი კურსი გაცვლითი კურსია. როდესაც მე მეკითხებიან პროგნოზს, თუ სადამდე გამყარდება ლარი, ანუ გაუფასურდება დოლარი, ამაზე ვპასუხობდი, რომ მთავრობას აქვს 1,43 ექსპორტზე და თუკი 1,43 საშუალო წლიური მონაცემია, წლის ბოლოს უფრო დაბალი იქნება. მაგრამ, ყველაზე კურიოზული ის აღმოჩნდა, რომ ბოლო ბიუჯეტში, რომელიც ცვლილებით დავამტკიცეთ, გაცვლითი კურსი არის 1,576. მართალია, ახლა უკვე ექსპორტზე და იმპორტზე ერთი და იგივე კურსია დაფიქსირებული, მაგრამ, საქმე ის არის, რომ ასეთი გაცვლითი კურსი იყო იანვარში, ახლა ლარი უკვე ათი თეთრით არის გამყარებული. არ ვიცი, ეს უპასუხისმგებლობით ხდება თუ უცოდინარობით, მაგრამ , 2008 წლის ბიუჯეტის პირველ ვარიანტში იყო იმპორტზე 1,47 და ექსპორტზე 1,43. ბოლო ვარიანტი, რომელიც დავამტკიცეთ მარტში, უკვე არის 1,58–მდე. საერთოდ ბიუჯეტში ძალიან ბევრი პარამეტრი არის არასწორად დათვლილი. ამიტომ ვამბობ, რომ გურგენიძის

მთავრობა არჩევნების მერე დარჩება თუ არა, ბიუჯეტში ბევრი რამ შესაცვლელი იქნება.

„რ“: სამომავლო პერსპექტივაში რა გავლენას მოახდენს ეკონომიკაზე ასეთი ბიუჯეტი?

ლ.პ: სამომავლო პერსპექტივაში დაუტოვებს მთავრობას, ვინც არ უნდა იყოს, მაღალ ინფლაციას და ახალ მთავრობას, თუ პროფესიონალების მთავრობა მოვიდა და არა დემაგოგების, სერიოზული ძალისხმევის განხორციელება დასჭირდება, რადგან ბიუჯეტი თვისობრივად ხელახლა იქნება დასაგეგმი. შეიძლება ძირითადი პარამეტრები არ შეიცვალოს, მაგრამ სტრუქტურა იქნება შესაცვლელი. 2008 წლის ბიუჯეტი მთავრობამ პარლამენტში განსახილველად შეიტანა პირველად 2007 წლის სექტემბრის ბოლოს, როგორც იყო ვადა. ბიუჯეტში ისევ იყო სერიოზული დაფინანსებები გათვალისწინებული თავდაცვაზე, შსს სამინისტროზე და ერთი სიტყვითაც არ იყო ნახსენები სერიოზული სოციალური პროგრამები. მაგრამ, 7 ნოემბრის შემდეგ უცბად ითქვა, რომ თავდაცვაც დაფინანსებულია და სხვა სფეროებიც და ბიუჯეტი გახდა სოციალური ორიენტაციის. მე ვფიქრობ, როს ეს არჩევნები რომ დასრულდება, ეს სოციალური თემები ნაკლებად მწვავე იქნება. თუ ჩვენ ბედი გვაქვს და უფრო გონიერი მთავრობა გვეყოლება, შეიძლება უფრო შედეგიანი იყოს.

„რ“: რამდენია ამ სოციალური პროგრამებისთვის გამოყოფილი?

ლ.პ: საერთოდ სოციალურ ხარჯები არის ბიუჯეტის მესამედი. მაგრამ, კონკრეტულად ეს როგორ არის გაყოფილი, ამაზე ნამდვილად ვერაფერს ვერ გეტყვით. რადგან ამის გაგება მთავრობისგან შეუძლებელი აღმოჩნდა.

რუსიკო მაჩაიძე